1-ს ივლისს ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ. 1884 წელსა.

ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘ

№ 13.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: გაზეთის „ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘᲡ“ რედაქციაში, დაბა ᲨᲝᲠᲐᲞᲐᲜᲨ. *Въ мѣстечко Квирилы. Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

განცხადება მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ზომიერ ფასათ. მიიღება აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებაების დარიგება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა ᲨᲝᲠᲐᲞᲐᲜᲨᲘ რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი და თუ ავტორთა თავის ვინობის გამოცხადება არა სურსთ, რედაქცია არ გამოაცხადებს მათ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ. უმაღლესი მანიფესტი.—იუბილეის დღესასწაულობის შესახებ.—სტატენდიების დაარსება თფილისის საეპარხიო ქალების სასწავლებელში.—უმაღლესი დაჯილდოება. ᲐᲠᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ. 1 ივლისს 1884 წ.—მღვდლის გაცხობა მრევლთან.—უკანმაგირო თანამდებობა.—წერილი გურიიდამ;—ხვანეთიდამ.—ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში VI.—ბიოგრაფიული ცნობა, ნიკოლოზ თფილელი.—სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.—ჟურნალ-გაზეთთა მიმოსილვა.—„გვირგვინი“ დახასრული.—განცხადებანი.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲘ.

ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲦᲕᲗᲘᲡᲐᲗᲐ

ᲩᲕᲔᲜ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ,

ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗ ᲛᲙᲧᲠᲝᲑᲔᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐ,

მეფე პოლშისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა, და სხვათა, და სხვათა.

უცხადებთ ყოველთა ჩვენთა მორწმუნეთა ქვეშეურდომთა:

ᲮᲐᲣᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲫᲛᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲝᲑᲐ, ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲔᲠᲒᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲫᲔ, ჩვენის თანხმობით შეერთდა ქორწინებით მფლობელის დიდი პერცოგის ზესენსკის ასულთან, პრინცესა ᲔᲚᲘᲖᲐᲑᲔᲗᲗᲐᲜ და მესამესა რიცხვსა ამა ივნისსა შესრულდა მათი ქორწინება ჩვენის თანადასწრებით საზამთრო სასახლის სობოროს ეკლესიაში ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის ტიბიკონისამებრ.

ᲩᲐᲣᲬᲣᲔᲑᲗ რა ამა ჩვენი გულის სასიხარულო შემთხვევას, ვბრძანებთ, რომ მეუღლა დიდისა მთავრისა სერგი ალექსანდრეს ძისა იწოდებოდეს დიდ მთავრინად ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲗ ᲗᲔᲝᲓᲝᲠᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲐᲓ, ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲢᲘᲢᲣᲚᲘᲗ. ჩვენ სრულებით დარწმუნებული ვართ, რომ მორწმენენი ქვეშევრდომნი ჩვენნი შეაერთებენ მხურვალესა ლოცვასა მათსა ჩვენთან ყოვლად შემძლებელისა და ყოვლად მოწყალისა ᲦᲕᲗᲘᲡᲐᲓᲛᲘ, რათა მიანიჭოს ნიადაგი, შეურყეველი კეთილ დღეობა გულით საყვარელთა ჩვენთა ახლად დაქორწინებულთა.

ჰიცემულ არს პეტერბურღსა შინა, ივნისის მესამესა დღესა; წელსა შობიდამ ჩრისტესა ათას რვაას ოთხმოცდა ოთხსა, მეფობისა ჩვენისა მეოთხესა.

ნამდვილსა ზედა საკუთარის მისი იმპერატორებითი დიდებულების ხელით მოწერილია:

«ალექსანდრე»

იუბილეის დღესასწაულობის შესახებ.

ჰინისტრთა კომიტეტმა, შინაგან საქმეთა მინისტრის უმაღლესი ბრძანებისამებრ შედგენილის უქვეშევრდომილესიის მოხსენების მოსმენის შემდეგ, შესახებ მიღებისათვის სხვა-და-სხვა ზომათა იუბილეის დღესასწაულობის შემცირებისა, სხვათა შორის, საჭიროდ შერაცხა შემდეგი კანონების დადგენა.

1) იუბილეის დღესასწაულობის ნება იმ პირთა, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში არიან, ანუ მართებლობისაგან დადგენილ დაწესებულების განწესებით ირიცხებიან სამსახურში, აგრეთვე საქველ მოქმედო დაწესებულებათა და სხვა საზოგადოებათა შინა მოსამსახურეთა რომელნიც მართებლობის უწყებაში ირიცხებიან, ანუ მართებლობის დაწესებულებათა ექვემდებარებიან, არ უნდა მიეცეს გამოუთხოვად უმაღლესი მთავრობისა.

2) თანასწორ ამისა არ უნდა მოხდეს, თვინიერ ჯეროვანის ნება დართვისა, არა ვითარი წინდა-წინ განკარგულებანი, ანუ ხელწერილის გახსნანი ფულის შეკრებისათვის იუბილეის დღესასწაულობის გამო. ამასთან მიუცილებლად აღეკრძალებათ ყოველ გვარი ფულის შეკრება და შეწირულება იუბილიარის ხელქვეშე მყოფთა მოსამსახურე და მაზე დამოკიდებულთა პირთა შორის.

და 3) აღეკრძალებათ მიუცილებლად იუბილეის დღეების დღესასწაულობა პირველ მუხლში მოხსენებულთა პირთა მათის ნებით გამორჩეულ დროს. ნებართვა მიეცემა იუბილეის დღესასწაულობისა: ა) პირთა, რომელნიცა გაუწყვეტლად ერთ ადგილას მსახურებდენ არა ნაკლებ ოცდა ხუთისა წლისა და ბ) აგრეთვე იმ პირთა, რომელნიცა ოფიცრის წოდებაში მსახურებდნენ არა ნაკლებ ორმოცდა ათისა წლისა. და გ) დაწესებულებათა, სასწავლებელთა და საზოგადოებათა, რომელთაც შესრულებიათ სრული ნახევარი საუკუნე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იუბილეის დღესასწაულობისა გამო არავინ უნდა იქმნეს წარდგენილი ჯილდოზე.

ჩელმწიფე იმპერატორმა 6 ფებერვალს, აღნიშნული კომიტეტის დადგენილობის უმაღლესად დამტკიცება კეთილ ინება.

სტიპენდიების დაარსება თფილისის საეპარხიო ქალების სასწავლებელში.

ოაწმიდესი ხინოდის განჩინებით 20—29-ის მარტიდამ 1884 წელსა, № 626 დაწესებულია თფილისის ქალების საეპარხიო სასწავლებელში სამი სტიპენდია მისი უმაღლესობის, დიდის მთავრინას ოლღა თეოდორეს ასულის სახელზე. ეს სამი სტიპენდია დაწესდა იმ ხუთი ათასი მანეთის სარგებლისაგან, რომელიც შემოწირა სამუდამოდ მოსკოვის მიტროპოლიტმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა იოანნიკემ.

უმაღლესი დაჯილდოება.

ჩ ე ლ მ წ ი ფ ე ი მ პ ე რ ა ტ ო რ მ ა, თანახმად ღირს ყოფისა კავალერიის საბჭოსა, სამს ფებერვალს 1884 წელსა უმაღლესად კეთილ ინება დაჯილდოება თორმეტი წლის ბლაღოჩინობის თანამდებობაში მსახურებისათვის მესამე ხარისხის ანნას ორდენითა საქართველოს საეკლესიოში: იმერეთის ეპარხიის მღვდლის სპირიდონ ძოწენიძისა და ჩხარის ეკლესიის მღვდლის მოსე ჯუღელისა.

არა ოფიციალური ნაწილი.

1 ივლისს 1884 წელსა. ყველა თანამდებობანი მთელს სახელმწიფოში ძლიერ დაკვირვებით და მოფიქრებით არიან აწონილნი და დაფასებულნი. მითოეული თანამდებობა თხოულობს თითო პირის შრომას. თუ რომელიმე თანამდებობა მძიმე ასასრულებელი და ერთი პირისაგან შეუძლებელია, იმ შემთხვევაში ამ პირს ენიშნება ერთი ანუ ორი პირი თანაშემწეთ და მათთაც ცალკე ჯამაგირი ეძლევათ. ეს წესი სუფევს ყველა წოდებაში და ამ წესს უნდა ადგენ ყველანი. ძველ დროშიაც ამ წესზედ მდგარან ყველანი და ერთ თანამდებობის ჯამაგირით უცხოერიათ და მით კმაყოფილნი ყოფილან...

ჩაგრამ ეხლა, სამწუხაროდ, დრო შეიცვალა. დღეს სულ სხვა დრო დადგა. ყველაფერი გაძვირდა. ბადაპრანჭული ცხოვრება ბევრს სიცოცხლეს უმწარებს. წამხედურობა და ნამეტანი თავ-მოყვარეობა განსვენებას არ აძლევს ზოგიერთებს; ცხოვრება ეშხამებათ. დიდისა და პატარას საძებარი არის დღეს ფული, ფული და ფული. ფული გახდა მრავალთათვის სათაყვანო კერპი, რომელსაც მსხვერპლად მიართმევენ მოძმეთა და მოყვასთა კეთილ-დღეობას და მამულის სიყვარულს. ძუჭის მოთხოვნილებამ დასძლია ტვინის მოთხოვნილებას და კაცს დაუსუსტა ის თვისება, რომლითაც იგი ამაღლდება ყველა ცხოველებზე...

ძველ დროში ყველას კმაროდა ერთი თანამდებობის ჯამაგირი; ყველა კმაყოფილი იყო თავისი ხვედრით და ბედნიერად სცხოვრებდა. დღეს? დღეს არათუ ერთი თანამდებობის ჯამაგირი, არამედ სამი სხვა-და-სხვა თანამდებობის ჯამაგირიც არ ჰყოფნისთ. იმას ხომ არავინ დაეძებს, შეიძლებს ერთი კაცი სხვა-და-სხვა ორი-სამი შტატის თანამდებობის მოვალეობის აღსრულებას თუ არა!.. ყველა ცდილობს ნამეტანი ჯამაგირების აღებას და საქმეს აღასრულებს თუ არა რიგიანად—ამას არ დაეძებენ. ამისთანა ფულის მოყვარეთა რიცხვმა ძლიერ აიწია. ამისათვის სახორციელო მართებლობა იძულებული შეიქმნა გამოეცხადებინა საქვეყნოდ, რომ სახელმწიფო მოსამსახურეთა პირთა არ იკისრონ ერთ თანამდებობის გარდა კიდეე სხვა თანამდებობის კისრულობა, არათუ სახელმწიფო სამსახურში, არამედ კერძო საზოგადოებათა დაწესებულებაშიაც რომ შეხვდეს ამისთანა თანამდებობის მიღება და შოვნა. ცხადია ყველასთვის, რომ ორ თანამდებობას ისე მუყიათად და ბეჯითად ვერ აღასრულებს ერთი კაცი, ერთსა და იმავე დროს, როგორც ერთს რომელიმე თანამდებობას. ორი-სამი თანამდებობის აღსრულება ერთისა და იმავე პირისათვის ხშირად ფიზიკურათაც შეუძლებელია. მაგრამ ამას არავინ დაეძებს. ოღონდ კი მიეცესთ მათ რამდენიმე ჯამაგირიანი თანამდებობა, თორემ უარს არავინ იტყვის!.. *)

ყველასგან შეტყობილია, რომ მასწავლებლობა ყველა თანამდებობაზე უმძიმესია. მაგრამ, სამწუხაროდ, სასწავლებლებში უფრო არღეეეენ მასწავლებლები ამ კანონს, ვინემ სხვა წოდებაში. ამისთანა მასწავლებლებში არ შეიძლება გამორიცხოს კაცმა საღმრთო სჯულის მასწავლებლებიც. ისინიც მზათ არიან ორ-სამ ადგილას აიღონ თანამდებობანი და ამით ფულის შემოსავალი გაიმრავლონ! როდესაც ამხილებთ თქვენ ამ პირებს, ისინი თავის გასამართლებლად მოიყვანებენ სხვა-და-სხვა კანონების მუხლებს და **ა**წმიდესი **ნ**ინოდის განჩინებათა, რომლებითაც მათ ეძლევათ ნება ორი-სამი თანამდებობის აღსრულებისა ერთსა და იმავე დროს.

ჩართალია, იყო დრო, როდესაც ნასწავლი კაცები არ იშოვებოდნენ; ამისათვის უმაღლესმა მართებლობამაც მისცა ნება ერთ პირს **ორი** თანამდებობის აღსრულებისა. თუ ნასწავლი კაცები იშოვებიან, თუ ერთ ადგილზე ორი-სამი მასწავლებლობის ადგილის მთხოვნელია, მაშინ რასაჭიროა ერთ პირს ორი-სამი თანამდებობა ჰქონდეს დაჭერილი?

ჭვიღოთ მაგალითებრ ჩვენი სასულიერო სასწავლებელნი. ამ სასწავლებლების მასწავლებელთა ბევრს თავის პირდაპირ თანამდებობის გარდა სხვა თანამდებობაც აქვსთ; ზოგი მათგანი მრევლის შტატის ეკკლესიის მღვდელია და ზოგს მათგანს სხვა სახორციელო უწყების სასწავლებლებში აქვსთ თანამდებობა მიღებული.

ბოღეს, როდესაც სასწავლებლის კარებთან ორი-სამი მასწავლებლობის ადგილის მთხოვნელები არიან გაჩერებულნი, და ისიც აკადემიელები, რასაჭიროა სოფლის მრევლის მღვდლებს ვსთხოვდეთ ზოგიერთი საგნების სწავლებას? **რ**ოდესაც მათზე უმეტესად მცოდნენი პირიქით გვეხვეწებიან ამისთანა ადგილების მიცემას როგორ უნდა ვეუბნებოდეთ მათ უარს იმისთვის, რომ შემოსავალი არ მოაკლდესთ ამ მასწავლებლებს? ამ შემთხვევაში სახეში უნდა

*) აქ ჩვენ სახეში არა გვაქვს მიღებული ზოგიერთი უჯამაგირო თანამდებობანი, რომლის ასრულებისათვის სასყიდელი არ არის დანიშნული. ამისთანა თანამდებობანი ისეთი ადვილი ასასრულებელნი არიან, რომ არავის არ მისცემს დაბრკოლებას ერთი პირდაპირი თავის თანამდებობის აღსრულებაში.

გვქონდეს ყველას გონებითი წარმატება რამდენიმე ასი მოსწავლისა და არა მარტო მასწავლებლის გამდიდრება და მისი კეთილ-დღეობა. Cხადია ყველასათვის, რომ ორი-სამი გაკვეთილის მიცემის შემდეგ მასწავლებელს ღონე აკლდება და სუსტდება. მეორე სასწავლებელში იმას აღარ შეუძლია გაკვეთილები მისცეს რიგიანად; იმას აღარ აქვს სიხალისე სწავლებისა, ამიტომ კლასის გათავებას სიხარულით მოელის და ოცჯერ მაინც უნდა ჩაიხედოს საათში, სანამ ზარს დარეკდენ. Aმისთანა მასწავლებლები ძლიერ საზარალონი არიან იმ საზოგადოებისათვის, რომელსაც სასწავლებელი ეკუთვნის და რიგია ამ საგანს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს...

მღვდლის გაცნობა ახალ სამრევლოსთან.

Kოველი მღვდელი, როცა ის პირველად სამრევლოში შედის, უცხოა თავის სამრევლოსთან. Oავდა-პირველად მღვდელს და მისს სამრევლოს შორის არ არსებობს შინაური კავშირი, ე. ი. მღვდელს და მრევლ შუა არ არის მამა შვილური სიყვარული. Aმიტომ მღვდელმა ყოველივე ღონის ძიება უნდა იხმაროს, რომ, რაც შეიძლება მალე, თავის მრევლს დაუახლოვდეს, გაიგოს მისი სულიერი და ნივთიერი საჭიროებანი და მერე, შეძლებისა და გვარად, იმეცადინოს ამ საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე. Mხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება მღვდლის სამსახური სასარგებლო მისი სამრევლოსთვის. Kოველივე თავის მოქმედების მაგალითად მღვდელს უნდა ჰყავდეს სახეში თვით Xაცხოვარი, რომელიც თავის თავზე ამბობს: მე ვარ მწყემსი კეთილი: ჲ ვიცნი ჩემნი იგი, ჲ მიცნიან ჩემთა მათ (იოან. ი—იდ). Aქედგან ის კი არ გამოდის, რომ მოძღვარმა ორიოდე საჭიროებანი გაიგოს თავის სამრევლოსი და ამით გაათაოს საქმე. Mღვდლისთვის და მისი სამრევლოსთვის ის უკეთესი იქნება, რაც უფრო დაახლოვებით გაიგებს მღვდელი თავის მრევლის საჭიროებას. Aმ მიზნის მისაღწეველად ყოველმა ახალგაზდა და გამოუცდელმა მღვდელმა უნდა მიაქციოს ყურადღება იმ საშუალებათა, რომლების შემწეობით მასს შეუძლია თავის მრევლთან დაახლოება.

Eმისთანა საჭირო ცნობები თავის სამრევლოზე მღვდელს შეუძლია შეიტყოს თავის წინა მოადგილესაგან, თუ ის ცოცხალია, ანუ მახლობელი მღვდლებისაგან და თვით ახალი სამრევლოს რომელიმე პირისაგან. Mართალია, რომ ამ მხრით მღვდელი ნამდვილად ვერ შეიტყობს თავის სამრევლოს საჭიროებათა და მოთხოვნილებათა, მაგრამ თავ-და-პირველად ეს მოკლე ცნობებიც კმარა და მერე თვითონ მასს შეუძლია დაახლოვებით გაეცნოს სამრევლოს. Cალიან კარგი იქნებოდა, რომ მღვდელი თავის მომავალ ახალ სამრევლოში რამდენიმეჯერ მივიდოდეს და ადგილობით გაიცნობდეს ხალხის ზნეობით, გონებით და რელიგიურ მდგომარეობათა, რომ წინ-და-წინ იცოდეს მან, თუ რას უფრო უნდა მიაქციოს სამრევლოში ყურადღება შესვლისათანავე.

Kამდვილი საშუალებანი, რომლებითაც მღვდელს შეუძლია შეიტყოს ზნეობითი, გონებითი და რელიგიური მდგომარეობა თავის სამრევლოსი, აგრეთვე შეიტყოს, თუ რა ცუდი მიდრეკილებანი და ცრუ მორწმუნება არსებობენ ხალხში, არის აღსარება და მღვდლის ხშირი მისვლა-მოსვლა თავის სამრევლოსთან.

Xღვდელს მეტად ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლია თავის სამრევლოსთვის, თუ მასს აღსარების საქმე წესიერად და კარგად აქვს შეტყობილი და დაყენებული. Kოველივე კეთილ მორწმუნე ქრისტიანე აღსარების დროს მღვდლის წინაშე აცხადებს თავის სულის მდგომარეობას, თავის სულის უძლურებას, რომლის განკურნებაც არის მღვდლის პირ-და-პირი მოვალეობა. Aღსარების დროს მღვდელს შეუძლია შეიტყოს თავის მოწაფის რელიგიური მდგომარეობა, რომელზედაც განსაკუთრებით მისი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული. Mაგრამ აქ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ერთი აღსარებითაც არ შეუძლია მღვდელმა გაიგოს ყველა ესეები: ბევრი კაცია, რომ აღსარებას სულ არ ამბობს მღვდელთან. Aმასთან ხალხის ზნეობით და რელიგიურ მდგომარეობაზე დიდი გავლენა აქვსთ სხვა-და-სხვა გარეშე მიზეზებსაც და ამიტომ საჭიროა მღვდლისთვის, რომ ის ხშირად დახედავდეს თავის მრევლს მათ ცხოვრებაში. მღვდელი წლის განმავლობაში ორჯელ-სამჯელ მაინც მივა თავის მოწაფესთან მის ბინაზე, რადგან მას იწვევენ სამრევლოში ხან ზეთის კურთხევისათვის, ხან აღსარების და ავათ-მყოფების საზიარებლად და სხვა-და-სხვა სამღვდელო მოქმედების ასასრულებლად; მაგრამ ეს მისვლა-მოსვლა საკმაო არ არის, თუ მღვდელს ნამდვილად უნდა მრევლის გაცნობა. Mღვდელი თავის მოწაფესთან უნდა მიდიოდეს თავისითაც, როცა მას არ უძახიან საქმისთვის. Eსთქვათ, რომელიმე მისი მოწაფე გახდა ავათ; მღვდელს შეუძლია მივიდეს ავათ-მყოფის სახლში, გაიგოს ავათ-მყოფობის მიზეზი და მისცეს

ავათ-მყოფს და მის მონათესავეთ დარიგება. ბარდაიცვალა სამრეველოში ვინმე, მღვდელს შეუძლია მივიდეს და ანუგეშოს გარდაცვალებულის მშობელნი და მონათესავენი. ესთქვათ ვისმეს დაეწვა სახლ-კარი, ანუ დაეკარგა ქონება, მღვდელს შეუძლია ნუგეში მისცეს კაცს და მასთან აუხსნას მასს, თუ რა ცუდი თვისებაა კაცისათვის ქურდობა და რა მნიშვნელობა აქვს კაცისთვის ქვეყნიურ სიმდიდრეს. შეიძლება, ვინმე სამრეველოში ათხოვებს ქალს, ანუ ვაჟისთვის მოჰყავს ცოლი, აქაც მოვალეა მღვდელი მივიდეს თავის მოწაფესთან და დაუწყოს მასს ბაასი საიდუმლო ჯვარის წერაზე, აუხსნას ცოლ-ქმრობის მნიშვნელობა და მოვალეობა. მხოლოდ ამ სახით შეუძლია მღვდელმა ნამდვილად გაიცნოს თავის სამრეველო, რომ რიგიანად აღასრულოს თავის მოვალეობა. ერთი სიტყვით მღვდელი მოვალეა, რომ ხშირად ნახოს თავის მოწაფენი და ხშირად ებაასოს მათ. ამ მოვალეობას სდებენ მასზე ჩაცხოვარი და მისი მოწაფენი; ერთი მარტო სწავლება საკმაო არ არის, თუ ამასთან ხშირად არ უმეორებ ნათქვამს და სიტყვით და საქმით არ მოქმედებ შენს სამწყსოზე. ექიმს მხოლოდ მაშინ შეუძლია მოარჩინოს ავათ-მყოფი, როცა ადგილობით ნახავს მასს, გაიგებს ავათ-მყოფობის მიზეზს და შესაფერ წამალს მისცემს, თორემ თავის სახლიდგან რომ უნიშნოს წამალი ავათ-მყოფს და ადგილობით კი არ ნახოს ავათ-მყოფი, ბევრად ვერას შეეფარება. აგრეთვე მღვდელია: მან ჯერ კარგად უნდა შეიტყოს თავის მრევლის მოთხოვნილებანი და საჭიროებანი და სად შეიტყობს ყველა ამაებს მღვდელი, თუ ხშირი მისვლა-მოსვლა არა აქვს თავის მოწაფეებთან. ამასთანავე მღვდელი უნდა მეცადინობდეს, რომ მისი მისვლა სამძიმო არ იყოს მრევლისთვის; მრევლი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მოძღვარი მიდის მასთან, როგორც მისი ნამდვილი დაახლოებული მეგობარი, ანუ მამა, რომელიც სამრეველოს სიკეთისთვის და წარმატებისთვის ზრუნავს. ამ მისვლა-მოსვლის დროს მღვდელს ყოველივე ცხოვრების მოვლენაზე შეუძლია ებაასოს თავის მოწაფეს. ადვილად შეიძლება, რომ სამრეველოში მოიძებნოს ორი-სამი პირი, რომელთაც არ მიიღონ მღვდელი სახლში. ამ შემთხვევაში მღვდელი არ უნდა მიეძალოს ამისთანა კაცს. თვით ჩაცხოვარის სიტყვები და მისი მოწაფეთა მაგალითები გვიმტკიცებს ამას: „უკეთუ არვინ შეგიწყნარესთ თქვენ „არცა ისმინეს სიტყვანი თქვენნი; გამორსხვიდოდეთ მიერ სახლით გინა მიერ ქალაქით, განიფარეთ მტვერი ფერხთა თქვენთა (მათ. ი—იდ).

ერის კიდევ ერთი საშუალება, რომლითაც მღვდელს არა ნაკლებ შეუძლია თავის სამრეველოს გაცნობა და მასთან დაახლოვება. თუ რომელიმე სამრეველოში არის სკოლა, მღვდელს შეუძლია სკოლაში მოსწავლეების საშუალებით შეადგინოს აზრი მათი მშობლების ჭკუა-გონებაზე, სარწმუნოებაზე, ჩვეულებაზე. სკოლაშიც შეხვდება მღვდელს ხშირად ბავშების მშობლებთან შეხვედრა და ბაასი. ასე თუ დაუახლოვდება მღვდელი თავის სამწყსოს, მაშინ მასს და მის სამრეველოს შუა დამყარდება ნამდვილი მამა-შვილური სიყვარული. მაშინ ამისთანა მღვდლის მოშორებაზე კი არ გაიხარებს მრევლი, არამედ გულით და სულით შეწუხდება. მაგრამ მამა-შვილური სიყვარული და კეთილი განწყობილება მრევლსა და მღვდელს შორის, რასაკვირველია, არ შეიძლება, თუ მღვდელი თავის სამრეველოში არ სცხოვრებს; თუ მღვდლათ მიტომ ეკურთხა, რომ ბლაღოჩინობა იშოვოს როგორმე; თუ ერთსა და იმავე დროს სხვა-და-სხვა შემოსავლიან თანამდებობას კიდებს ხელს. სამწუხაროდ, ამისთანა მღვდლებს ხშირად ეხედავთ ამ ჩვენ ანგარებით განთქმულ დროში...

უჯამაგირო თანამდებობა.

ოველ დაწესებულებაში სამსახურისთვის არის დანიშნული სასყიდელი, ანუ ჯამაგირი, რომლითაც მოსამსახურე პირი თავის თავს ტოლ შვილს ასაზრდოებს. ესე არის კანონად განწესებული ბოთისგან: „ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა“, (მათ. 10. 10) კაცისაგანაც: ყოველ მოსამსახურე პირს მისი სამსახურის მისედულობისა მებრ აქვს დანიშნული ტოტა თუ დიდი ჯამაგირი ხშირად, კიდევ ჯამაგირს გარდა, ერთ დროებითი შეშველობაც ეძლევათ ფულით. ყველასაგან ცნობილია, რომ ეს არის საზოგადო კანონი. მხოლოდ, ჩვენდა საუბედურად, ამ საზოგადო კანონიდან არის გამორიცხული ბლაღოჩინების სამსახური. ბლაღოჩინებს აწევს ულმად კისერზე მეტად დიდი მოვალეობა: მათ უნდა მოუარონ, ეფარონ, უნდა განაგონ (რაც გინდა დაუძახე) ათიდან — ოცდა ათამდი შტატის ეკლესიებს და მათ კრებულთ (ის. 69 § უსტ. სახულ. კანონისტ.). რაში მდგომარეობს ამითი მოვალეობა, ეგ კარგა დაწვრილებით არის აწერილი ბლაღოჩინების ინსტრუქციაში. აქ მხოლოდ ვიტყვით ბლაღოჩინების ზოგიერთა მოვალეობაზე, რომლიდგანაც ცხადად დავინახავთ, თუ რამდენი უნდა იშრომოს ბლაღოჩინმა

წლითი წლადმდე: მათ წელიწადში ორჯერ უნდა ჩამოიარონ რწმუნებული მათდამო ეკლესიები, გაბინჯონ სა ეკლესიო კრებები, ინგარიშონ შემოსავალ-გასავალი თითეული ეკლესიისა; უნდა წარადგინონ კლირიკის უწყებანი ორ ეგზემპლიარად: ერთი ეპარსიის მთავრობასთან, მეორე სინ. კანტორაში; ბლაღოჩინებმა უნდა წარადგინონ სასოფლის ინგარიში, უნდა წარადგინონ თითეული ეკლესიების შემოსავალ-გასავლის ან დანარჩენი ფულის ინგარიში; უნდა შეადგინონ ტაბლიცები (ეგზტრაგტები) მეტრიჩესკის ან აღსარების სიებიდან სრულად ე. ი. თავის საბლაღოჩინოში, რომელშიაც, საშვალი რიცხვით რომ ავიღოთ, ათას სუთასი მოსახლე მაინც იქმნება, რამდენი სული მოგვდარა მამრისა, რამდენი მდედრისა, რომელ ჭასაგში: ერთი წლიდან სუთ წლამდინ რამდენი მოგვდარა, სუთიდან ათამდი, ათიდან თუთხმეტამდი, თუთხმეტიდან ოცამდი; ასე ოთხმოციდან ოთხმოცდა სუთამდი ან სხ., რამდენი დაბადებულა მამრი, რამდენი—მდედრი, რამდენი —დაქორწინებულა; რამდენს უთქვამს აღსარება ან ზიარებულა, რამდენი დაუდევნელობის გამო, ან რამდენი სხვა რამ მიზეზების გამო, ან უნდა წარადგინოს სადაც ჯერ არს. ასევა სხვა რამოდენი საკადო ან რამდენი უკადო საქმეებია! ასევა მარტო ეპარსიის მთავრობიდან რამოდენი აღასრულებელი მოწერილობა მოუვა; ზოგიერთ წელიწადში ეს მოწერილობანი ორასამდე ასეულს ან სმირად მეტიც. ასევა რამდენი აღასრულებელი უმაზი სინოდის კანტორიდან... ეს უმაზები ან მოწერილობანი უნდა აღასრულოს ან მაგიერ „რაპორტი“ უნდა მოასხენოს, წელიწადში 400 № სულ უკანასკნელი გავა. ასევა გამოხაზებული საქმეები ან ამათ გარდა კიდევ რამდენია... ან მერმე რა?! მერმე ისა, რომ ამდენი ჯაფა ან შრომა ან სასუიდელი კი არაფერი არა არის რა! ამას წინეთ „მწყემსის“ ერთ №-ში იყო ნათქვამი, რომ ბლაღოჩინს გამოგზავნიან ეპარსიის ეპისკოპოზ ,,ბრაგონიო“ ან ეს არის სულ მისი ჯამაგირი, ავადა ან დიდება! ამასთან უნდა მოგისსენიოთ, ტუდი მწყალის ან თავის რეინის წადების არ იყოს, კანტელარიის სარჯიც ბლაღოჩინებისა. არც აქვს ბლაღოჩინებს კანტელარია, არც კანტელარიის სარჯი ან არც ყავს მწერალი, თუ აქვს რიგიანი სასლი, ერთი ოთახი კანტელარიას უნდა დუთმოს; თუ თვითონ სრულად საქმის წარმოება არ იცის, ან იცის, მაგრამ ვერ მოასწრო ან ვერ აუვიდა ერთი კარი ამოტელა საწერებს, მაშინ თავის ფულით მწერალიც უნდა იქირაოს: მართალია, ინსტრუქციის 51 §-ში სწერია, რომ ბლაღოჩინს თუ დასჭირდეს, მოუწოდოს დიაკვნებს საწერადა, მაგრამ ჩვენში ხადა იგეთი დიაკვნები, რომ ბლაღოჩინს უწეროს?! ეველა მისვდება, რომ ბლაღოჩინების ამისთანა მდგომარეობა უურადღების ღირსია, რათა არ ,,შეეიდნენ ისინი განსაცდელსა.“ საჭიროა, რამდენ წელარო ამოაჩინონ, თუ ჯამაგირი არ იქმნება, კანტელარიის სარჯი ან მწერალი მაინც მისცონ.

ერთი ბლაღოჩინთაგანი.

გურიიდამ.

(წერილი რედაქციისადმი *).

ჩვენამ კარგად იცის, თუ როგორ გულ-მსურვალე მონაწილეობას იღებდა ქართულ გალობის აღდგინებაში უოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოზი. იმან ბევრი საშუალება გამოსცადა, მაგრამ ბოლოს სულ სხვა გზას დაადგა. იმან განიზრახა მთელ საეკლესიოში ოცი ათასი მანეთის შეკრება ან ამ ფულების საგებლით უნდოდა ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღება ან გავრცელება. ჩვენ კარგად გვახსოვს, როცა აღაქსანდრე ბრძანებდა, რომ ნოტებზე უნდა იქმნეს გადაღებული როგორც ქართული, ისე გურული კილოებიო. გალობის აღსადგენად მან გაგზავნილი კაცებით კარგა ფულები შეაკრიბა, როგორც ქართლში, ისე იმერეთში. დღეს განცხადებს თურმე, როგორც ამბობენ, რომ გურიაში ქართულ გალობის კილო აღარ არისო; ქართული გალობის კილო დღეს ქიზიყში მეგულებაო; მე კიცი ან ქართული გალობის აღდგინებამაო. ნოტებიც საჭიროა არ არისო, მაწყვლებლები დავაყენოთ სახწავლებლებში: გორში, ქალაქში ან თელავში ან ისინი აღადგენენ ქართულ გალობასაო. ეხლა თურმე კიდევ ფულის მოსაბოჭ ან ჩამოსათხოვარ წიგნს თხოულობს ან ქართლში თვითონ კისრულობს გალობის აღდგენას ან დასავლეთ საქართველოში როგორც უნდათ, ისე მოიქცენო. თუ ეს მართალია, ძალიერ სამწუსაროდ მიგვაჩნია მისი ამისთანა მსჯელობა. წინა პირველი მისი დაპირება სრულებით ასეთი არ ყოფილა ან ამისთვის შეგსწირეთ ჩვენ იმერლებმა ან გურულებმა გალობის აღსადგენად ფულები. ჩვენ ფულები არ შეგვიწირავს მისთვის, რომ მას ქიზიყური გალობის კილო აღადგინა. თუ დასავლეთი საქართველო მას ხასეში არ

*) ამ წერილს ვბეჭდავთ ჩვენ და იმედი გვაქვს, რომ რასაც გვწერს წერილის ავტორი პატივცემულ უოვლად სამღვდელო ალექსანდრეზე მართალი არ გამოდგება. ჩვენ არ გვჯერა, რომ მან უარი ჰყოს გურულ გალობის კილოს და საეკლესიო ქართულ გალობის კილოდ აღვიაროს მარტო ქიზიყური გალობის კილო. იმედი გვაქვს, რომ ის შეგვატყობინებს, თუ რამდენი ფული მოიბოჭა გალობის აღსადგენელად და სად ინახება ეს ფული.

რედაქტორი.

ჭქონდა, არც ფულები უნდა შეეკრიბა ამ მხარეში ჯ რადგან მისი განზრახვა სულ სხვა ყოფილა, ჩვენ ყველანი ვსთხოვთ მას, რომ იმერეთში, გურიაში ჯ სამეგრელოში მობოდიშილი ფულები შეეწირველებს დაგვიბრუნოს, ანუ იმერეთის ეპისკოპოსს გარდასცეს ჯ ჩვენვე ვეცდებით გურული კილოს გალობის აღდგენას ჯ ნოტებზე გადაღებას. ჩვენ ვერავინ დაგვარწმუნებს ჯ ვერ დაგვაჯერებს, რომ წინააღმდეგი გალობის ნოტებზე გადაღებისა მტერი არ იყოს ქართული გალობისა ჯ მისი ძირიანად ამოგდება არ სურდეს. რადგან ქართულ საეკკლესიო გალობას ისევე ჩვენ ქართველებში აღმოუჩნდა მტრები, რიგია იმერეთის ეპარხიაში დაწესდეს კომიტეტი ჯ ამ კომიტეტმა იზრუნოს ქართული გალობის აღდგენაზე. ამ კომიტეტმა უნდა მოითხოვოს ის ფულებიც ყოვლად ხამღვდელო ალექსანდრესგან, რომელიც მას შეუკრებია ჩვენ მხარეში გალობის აღსადგენელად.

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ აქ გამოაცხადა ჯ მთავრობასაც მოახსენა, რომ „დროება“ ჯ „მწყემსი“ გურულ კილოს აძაგებენ ჯ ქართული კილო მოსწონთო. ეს შეიძლება ექსარხოსმაც დაიჯეროს. ჩვენ როგორც გვასოვს, გურული გალობის კილო არც „დროებას“ ჯ არც „მწყემსს“ არ უძაგებიათ ჯ სიდამ მოსდა ამისთანა მოსაზრების გამოცხადება, არ ვიცით!.. დრო არის გალობის აღდგენის საქმეს ყურადღება მიექცეს ჯ ჩვენმა ქართველებმა ამისთანა კეთილი საქმის მტრობას ჯ ღალატობას თავი დაანებონ.

სვანეთიდამ.

სვანეთში მოსამსახურე სასულიერო და სახოლიელო პირნი, ნამეტურ ისინი, რომელნიც ხშირად ავათ-მყოფობენ, მეტის-მეტად შესაბრალისნი არიან! საშუალებაც რომ გქონდეს, ვერც მკურნალს, ვერც წამალს და საჭმელს ვერ იშოვის კაცი. სოფელს ეცერში აღგილობითი მღვდელი ალექსი სვანიძე გადაიცვალა. მს საბრალო კარგად გრძნობდა, რომ სვანეთის ჰაერი არ რგებდა მასს, მაგრამ სვანეთს მაინც ვერ შორდებოდა, რადგან ჯამაგირს მოაკლდებოდა და წვრილი ოლ-შვილი შიმშილით დაეხოცებოდა. უკანასკნელ დროს ბევრი იძახა საოდავმა: ერთი კოვზი წამალი მაინც მიშოვეთო, მაგრამ სად იყო ან წამალი და ან მკურნალი! საწყალმა სვანიძემ დასტოვა წვრილი ოლ-შვილი ეთის ანაბარათ. დამარხვის დროს დიდი შემწეობა ამოუჩინა მიცვალებულს და მის ოლ-შვილს თავადმა თენგიზ დადიშკელიანმა, რომელმაც დიდ ძალი ხორაგი შეაწია მქვრივს და ობლებს; გარდა ამისა შ-ჰკრიბა მთელი პრიხოდი და გამოუცხადა: „ეს ჩვენი მოძღვარი უპატრონოდ მოჰკვდა, ამიტომ ყველამ შემწეობა აღმოუჩინოთ მის ობლებს. ამისთანა თანაგრძნობისთვის, როგორც თავადს თენგიზს, აგრეთვე მთელს შეკრებილებას გულითადი მადლობა გამოუცხადა მ. დეკანოზმა ე—ძემ, რადგან ამ მრეველმა სამახსოვრო საქმე ჰქნა. აგრეთვე შემწეობა აღმოუჩინეს ქვრივს და ობლებს სვანეთის კრებულმაც.

ბოდიელი ა. ს—ძე დიდის ხნიდგან მსახურებდა სვანეთში; ის სულ 25 წელიწადი იყო აქ; ამდენი ხნის ნამსახურებ კაცს თავის ოლ-შვილისთვის ვალის მეტი არა დაუტოვებია. მას დარჩა: ორი ვაჟი და ორი ქალი. უმფროსი ვაჟი მონასტერში ემზადება, ხოლო მეორე სწავლობს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. დიდი სამადლობელი საქმე იქმნება, რომ ამ ქვრივს და მის ობლებს ყურადღებას მიაქცევდეს ვისაც რიგია.

მღვდელი ანტონ ქურციკიძე.

ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

VI.

უეტრე პატრიარხი სრულიად საქართველოისა და 13-ნი მამანი, *) გამოთხოვილნი ფახთანგისაგან, დიდის ამალით ჩამოვიდნენ საქართველოში და თანაც მოიყვანეს მეფის საოლო ელენე. მეფე დიდის სიხარულით მიეგება ამ ძვირფას სტუმრებს, იდღესასწაულა, დაიწინდვა და შეუდგა ეკკლესიის მორიგება-დამკვიდრებას. მირიანის ტაძრის მაგიერ იმავე ადგილას მცხეთაში ააგო მშვენიერი ქვით-კირის ეკკლესია. რომელიც გახდა ავტოკეფალიად ანუ სამთავროდ. ზოგიერთ მოსულთ ეპისკოპოზთათვის დააწესა ახალი ეპარქიები და ზოგნი კი განაწესა ძველების წარსამართავად.

ესენი იყვნენ: იოანნე, აბიბოსი, იესე, იოსები, დავითი, შიო, ანტონი, პიროსი, ზენონი, სტეფანე,

*) ქართლის ცხოვრების სიტყვით მოსვლა 13-თა წმ. მამათა ეკუთვნის ფარსმან III დროს (545—570); ხოლო ამის წინააღმდეგ ზოგიერთთა მწერალთა მოჰყავთ შემდეგი საბუთები: 1) თუ ეს 13 მამანი იყვნენ მოწაფენი სვიმეონ მესვეტისა (სვიმეონ იშვა 390 წ., მოკვდა 460 წ.,) მაშინ მთელი საუკუნის შემდეგ ველარ მოვიდოდენ საქართველოში; 2) წმ. ანტონის მარტყოფის ტაძრის აშენებას აწერენ (სიგელი იმამ-ყული ხანისა და იმის დის მარიამისა) მამა ანტონს და ვახთანგ გორგასლანს. მაშასადამე მოსულნი უნდა იყვნენ 13 მამანი გორგასლანის დროს.

მიხეილი, Თადეოზი და Ისიდორე. Ამათ მოჰყვათ აგრეთვე განუშორებელი დიაკონი Იოანნესი Ილია. Ათცამეტნი ესე მოღვაწენი, შემდეგში აღიარებულნი წმიდანებად, დაესახლნენ საქართველოსა სხვა-და სხვა კუთხეებში, აიშენეს დიდნი ტაძარნი უმეტეს ნაწილად მაღალთა მთათა მწვერვალთა ზედა და გარემოსსა თვისსა მოჰფინეს სჯული მაცხოვრისა, მიმყვანებელი სასუფეველსა Ღვთისასა.

Ესმ მონასტრებ და ეკკლესიებთან ერთად მეფემ გაახსნევინა სკოლები ყრმათა სასწავლებლად.

Ესრე წარმატებით მიდიოდა ქრისტიანობის საქმე ჩვენში, როდესაც სპარსეთის ახალი შაჰი Ყობადი შემოვიდა საქართველოში ქრისტიანობის დასამხობად. Ვახთანგმა გაამაგრა ციხე-ქალაქნი და მამაცურად დაუხვდა მტერს, მაგრამ სიმრავლისაგან მათისა იძლია და სასიკვდილოდ დაჭრილ იქმნა *) (499 წ.)

Ხპარსელთ აღაოხრეს ქვეყანა და წავიდნენ წინაალმდეგ ბერძენთა, ხოლო Დაჩიმ (Ვახთანგის ძემ) დაიწყო ეკკლესიების შენება და ქრისტიანობის გავრცელება მთებში.

Ეს ჩვენ მოვიყვანთ მცირე ცნობებს ზემო მოხსენებულთა ათცამეტთა სირიელთა (ქაპადოკიელთა) მამათა ზედა. Დ. Ი ჩუბინაშვილის სიტყვით, ეს მამანი იყვნენ ქართველნი (ჰანელნი), რადგან იმ დროს მთელი ქაპადოკია დასახლებული იყო ქართველთაგან.

ა) Ესოანე წინამძღვარი ყველა მამათა, დაესახლა მცხეთის ახლოს Ზედაზენის მთაზედ, საცა დაანგრია და პირქვე დასცა სამლოცველნი კერპთ-მსახურთანი და მაღალ-ნიჭიერითა თვისითა ქადაგებითა და მადლიანისა სწავლითა და სასწაულებითა მოიზიდა მთელი გარემო მოსახლე ქრისტიანეთ ყურადღება. Იოანნემ ჰყო აქა მონასტერი და ეკკლესია სადგურად თვისად და დაფლულ არს მუნვე.

„Ზედა-ქალაქი ქართველთა წმინდა იქმნა სწავლითა შენითა, წმ. მამაო Იოანნე, მამათა თავალო და აღიწიე მთად Ზედაძნელისა, რომელიცა სთნდა სულსა შენსა, არქვ მოწაფეთა შენთა წარვედით და განამტკიცებდით Ქრისტეს სამწყსოთა, რამეთუ ახალნერგ არს ქვეყანა ესე ქართლისა.“ დღეობა წმიდანის 7 მაისსა.

ბ) Ესბიბოს გამოწვესებულ იქმნა ნეკრესის საეპისკოპოსო კათედრაზე. ნეკრესი მდებარებს ერთსა მწვერვალსა ზედა დიდი კავკასიონის წიაღსა შინა. „4 მეფის ფარნაჯობისაგან აღშენებული ქალაქი იყო (ნეკრესი); შემდგომად მეფემან Ირდატ აღაშენა ეკკლესია დიდ-შენი, გუნბათიანი, აქა დაადგრა წმიდა Აბიბოს, 13 მამათაგანი და იქმნა იგი ეპისკოპოზ, მწყემსი გაღმა-მხრისა დიდოთურთ; ამან (Აბიბოს) მოაქცივნა უმრავლესნი მთიულნი, ესევ ეწამა სპარსთაგან, ვითარცა მოგვითხრობს მეტაფრასი და დაფლული არს სამთავროს“ (გეოგრ. Ვახუშ. გვ. 314). ძურუმთა უფროსის სურვილისამებრ საიდუმლოდ შეპყრობილ, ქვით ცემულ, ნადირთა და ფრინველთა საწიწკნავად გადაგდებულ იქმნა სოფ. Rეხში (30 ვ. მანძილზე ქ. Ბორიდამ). Ბევამი Აბიბოსი დასაფლავებულ იქმნა იქვე Rეხის ახლო მონასტერში, მაგრამ შემდეგში მეფე სტეფანოზისგან ამოღებულ და მცხეთის სამთავრო ტაძარში დასაფლაბებულ იქმნა. საქართველოს ეკკლესია მის სახსოვრად დღესასწაულობს 29 ნოემბერსა.

გ) „Ესმავ მარტყოფის წყალს ერთვის ხევი, გამომდინარე ქუხეთის მთიდგან. Ამ ხევსა ზედა არს სამხრით ეკკლესია Ღვთაებისა, გუნბათიანი, დიდ-შენი, გარ ზღუდე-გოდლოსან, მზგავსი ციხისა, კეთილს მშვენიერს ადგილს; აქ დაადგრა 13 მამათაგანი Ანტონი და ჰყო მონასტრად ესე; ხოლო თვით მცირედ განშორებით ქვაბსა შინა მყოფადსა მარტოდ და მით ეწოდა ადგილსა ამას მარტო-მყოფი და ან მარტყოფი“ (გეოგრ. Ვახ. გვ. 304). როდესაც 13 მამანი ჩამოვიდნენ საქართველოში, წმიდა Ანტონი რამდენიმე ხნის შემდეგ გაემგზავრა ქრისტიანობის საქადაგებლად. Იგი მოვიდა მარტყოფისკენ და აქ გაიკეთა სენაკი და მოღვაწეობდა. Იგი იკვებებოდა ირმის რძით და არც არავინ იცოდა, თუ სად იყო Ანტონი. ბოლოს მონადირეთ მიაგნეს მას. Აწ აქვე ერთსა მთის მწვერვალსა ზედა აღმართულია სვეტი

---

*) ვახთანგ მგელ-ლომი, სიკისკას სიჩაუქით,
დამცემი ოსთა, გოლიათთა ჯვარითა
მზე განმანათლი, სამეფოსა თვისისა,
მღვდელ-მთავრობითთა, საყდარი მკაზმე მაკეჟი,
ქრისტესთვის შორის ცხოველ ნიადაგ მომგე.
ვახთანგ სინდთა და სხვადა-სხვა ბარბაროზთა
ზედ განბმხედრი, დამცემი კოსტანტინებრ,
მირიან დიდის, შესაბამ დის-წულობის,
ქრისტეს მოყვარე, ქრისტეს მიერ მეფობი,
მონარხიისა შემაერთი, ბრძენ სიმხნით.
მფლობი კოლხიდით, ვიდრე ირკანიამდე,
მფლობი აზიურ სარმატიისა ყოვლის
ბრძენი, მხნე მეფე, განმსჯი მართლიად მარად,
არ მოთნე ვისდა ყოლ, არცა თვალ-მღები,
სისხლითა ზიარ, ნამდვილ საკრფიალოჲს.

წყობილ-სიტყვაობაში, მუხ. 553, 554 და 555. მეფის ვახთანგის სახე გამოხატულია იერუსალიმის ჯვარის მონასტრის კედელზე, აგრეთვე მარტყოფის ეკკლესიაში.

მოსაგონებლად მისის დაყუდებისა. Იდღესასწავლების სახსენებელი მისი 19 იანვარსა და 16 აგვისტოსა.

დ) Შავითი დასახლდა ბარეჯის კლდოვან გორაზე, საცა გამოჰკვეთა მრავალი სენაკები და დაარსა დიდი ლავრა, ისე დიდი, რომ იგი იტეედა 600 მოღვაწეთა. Აქვე გამოჩნდნენ მოსასწაულენი, სხვათა შორის, მოწაფენი Დავითისა ლუკიანე და დოდო. Დღეობა Დავითისა არის მეშვიდე კვირას პასექის შემდგომ.

ე) Ესე ანუ Იასე, რომელსაც მიეცა წილკნის საეპისკოპოსო კათედრა. Იგი ახდენდა სასწაულებსაცა; სხვათა შორის, Იესეს აწერენ სასწაულებრივ წყლის გაყვანას Არაგვიდამ მინდვრების სარწყავად. „Ტყვლიანიდამ Ისო წილკნელმან, 13 მამათაგან, წარმოიღო ყავარჯნის თრევით რუ, რომელსა მოსდევდა უმუშაკოდ წყალი და მოიღო წილკანს და დის დღემდე. Დაფლულ არს მუნვე.“

ვ) „Უტორის ხევს ზეით, Ალაზნის დასავლით, არს Ალაევრდი, კახეთის მთის კალთის ველსა ზედა ზღუდე-პალატებიანი, გუნბათებიანი; აღაშენა 13 მამათაგანმან წმიდამან Იოსებ, და ჰყო მონასტერი წმიდის ბიოორგისა, და დაფლულ არს მუნვე“ (გეოგ. ვახ. 318). Იოსები მეტად ბეჯითი იყო ქრისტიანობის გავრცელების საქმეში და მან ამის გარდა აღაშენა მრავალი ეკკლესიები კახეთში. წმიდანის დღეობა 14 ენკენისთვეს არის.

ზ) „Ხარკინეთი არს მცხეთის დასავლით. Ორიან ქვაბნი გამოკვეთილნი კლდისაგან მრავალნი და კლდე ესე არს ვითარცა ნაშენი ქვით-კირისა; არს აქა მონასტერი დიდი, გუნბათიანი, და მღვიმე მას შინა, რომელსა შინა სცხოვებდა წმიდა შიო 13 მამათაგანი; აწ არს მღვიმესა შინა საფლავი წმიდის შიოსი, სასწაულთ-მოქმედი, რომლისა გარემოს მისა ვერ იკადრებს მხეცნი შეჭმად პირ-უტყვთა მონასტრისასა. Არს აქ ეკკლესია დიდი, უგუნბათო, კეთილ-ნაშენი, ხოლო იტყვიან ძველად, იდგა ხუთი ათასი მონოზანნი ამა ადგილთა შინა“ (გეოგ. ვახუშ. გვ. 212). Შიო ახდენდა სასწაულებსა და სცხოვრებდა პირველად მარტოდ მარტო და იკვებებოდა მტრედისაგან მოტანილ საკვებავით. მის აღსრულების შემდეგ მისნი ძვალნი ახდენდენ აგრეთვე სასწაულებსა, რის გამო დღეობის დღეს (ყველიერის ხუთშაბათსა) მისნი ძვალნი თვითონვე აღმოვიდოდენ ხოლმე საფლავიდამ. საქართველოს აოხრების დროს შაჰ აბასის მხედრებმა წმიდანი ესე ძვალნი წაიღეს სპარსეთში, რომელიც იმ წელიწადს აღაოხრებულ იქმნა საშინელი ჭირისაგან და მიზეზად ამისა სცნეს ძვალნი შიოსნი, რომელნიც უკანვე საქართველოში მოიტანეს.

ს) „Ერს რეხულას აღმოსავლით სამთავისი, ეკკლესია დიდი, გუნბათიანი, დიდ-შვენიერად შენებული. ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ძსნისა და რეხულას ხეობისა. ძმნული არს 13 მამათაგანისა Ისიდორესაგან და დაფლული არს იგი მუნვე“ (გეოგ. ვახ. გვ. 242).

თ) „Ყასპს ზეით წლევის მთაში არს მონასტერი, მამებას, სტეფან-წმიდისა, Თათესაგან (Თადეოზ) 13 მამათაგანის ქმნული. Დაფლულია წმიდა Თათე მუნ. Იტყვიან ამის ნაწილის აღმოსვლასა, ვითარცა წმიდისა Შიოსას“ (გეოგრ. ვახუშტისა).

ი) „Ჯორნა-ბუჯის ჩრდილოთ არს ხირსას მონასტერი, რომელი ჰყო 13 მამათაგანმან წმ. სტეფანემ, დიდ-კეთილ-შენი. Დაფლულ არს მუნვე წმ. სტეფანე“ (გვ. 310).

კ) „Ყალთოს ხევზედ, კახეთის მთის კალთას, არს Იყალთოს მონასტერი კეთილ-შენი, გუნბათიანი, ქმნული 13 მამათაგანის წმიდის ზენონისა, და დაფლულ არს მუნვე, და წმ. არსენიცა, რომელი იყო ქვეყნით ქახი“ (გვ. 318).

ლ) „Ჰტკვრის ჩრდილოთ, ამ მდინარის აღმოსავლით, არს ბრეთს მონასტერი უგუნბათო, რომელი ქმნა პიროს 13 მამათაგანმა და დაფლულ არს იგიცა მუნვე“ (გვ. 260).

მ) Ჰეცამეტე მამა მიხეილი დაესახლა Ულუმბოში. *) „Არს Ულუმბოს მონასტერი, უგუნბათო, დიდი, დიდ-შენი, მიქელ 13 მამათაგანის ქმნული და დაფლული არს მიქელ მუნვე“ (გეოგ. ვახ. გვ. 266).

Ესმ მოღვაწეთა წყალობით და სხვა ქართველთა მწყემსთა და მეფეთა მეცადინეობით ჩვენში ვერ მოიდგეს ფეხი ვერც შერყეულმა მოგვობამ და ვერც სხვა მწვალებლობამ, რომელიც Ივერიის გარემო მდებარე ქვეყნებში წარმატებით ვრცელდებოდა და მკვიდრდებოდა, როგორც მაგ. სომხეთში, Ალბანიაში და სხვაგან. Ამ ხანებში საქართველოს ქათალიკოსად აღმორჩეულ იქმნა მეტად განათლებული Ქირიონი, რომელმაც სომხეთის ქათალიკოსის მოსეს წინააღმდეგ იხმარა ყოველი მეცადინეობა და საქართველოში არ შემოუშვა გარყვნილი მისი და სომხეთის ეკკლესიის სწავლა. Ამავე დროს საქართველოს ეკკლესია ებრძოდა აგრეთვე სპარსელთა ხელმწიფეს Ყიბადს, რომელიც შემოვიდა საქართველოში, რათა ძალათ მიეღებინა ქართველთათვის კერპ-თაყანის

*) ისიდორესი, თათესი, სტეფანესი, ზენონისა და მიხეილის შესახებ ცნობანი მრავალთა აღრეულობათა, სპარსთა და ოსმალთ შემოსევისა და ქვეყნის ცარცვის დროს დაკარგულან.

მცემლობა, აღაოხრა ქვეყანა და სპარსეთში მომხდარ არეულობის გამო საჩქაროდ დაბრუნდა სპარსეთში.

Gოტათი რომ მშვიდობიანობა ჩამოვარდა საქართველოში, ჩვენმა მძლავრმა მწყემსებმა დაუწყეს ბრძოლა Ალბანიის (Ელისენი, Gუქეთი—საინგილო ანუ Zაქათალის მაზრა და Nუხის მაზრის ნაწილი ქ. Nუხამდის) მწვალებლებსა ანუ მწვალებლობას. Eს მწვალებლობა შესდგებოდა შემდეგი სწავლით: „არს ორი არსება: ერთი კეთილი, მამა Iესო Ჭრისტესი, დასაბამი ახალის აღთქმისა; მეორე ბოროტი, დასაბამი ძველის აღთქმისა; საუკუნე საუკუნოა; ძემან Oიფლისამან ხორცნი შეისხნა ცათა შინა; საიდუმლონი ნამეტანი და უჭაზრონი არიან, გარდა ერთისა—ნათლის-ღებისა; ჯოჯოხეთი ცარიელი სიტყვაა და ტყუილი“ და სხ. (Gautier dans sa Chron. და Diction Theolog-par Lábbé Pergier—პ. Iოსელიანის წიგნში Крат. ист. гр. ц. გვ. 52). ამ ქვეყანაში მწვალებლობა შემოვიდა სომხეთიდამ. ქართველთა მწყემსთა და მეფეთ წინ აღუდგნენ ამ სწავლას და ნება არ მისცეს, რომ მკვიდრად ფეხი მოედგა მას ხალხში,

Eმ მდგომარეობაში რომ იყო საქართველო, არაბისტანში კიდეც დამკვიდრებულ იყო სწავლა ახალის მოციქულისა—მაჰმადისა, რომელიც ასწავლიდა: „არის ერთი Rმერთი და ყველაზე უდიდესი მოციქული მისი მაჰმადი.“ Eსევე მაჰმადი თავისებურად ასწავლიდა სამოთხე-ჯოჯოხეთზედა და ვალად სდებდა ყველა მისთა მორწმუნეთა ბრძოლას წინააღმდეგ ქრისტიანეთა, რომელიც უწოდდა გიაურებად—ბილწებად, ღორებად.

Eს სწავლა მაჰმადისა მალე დროში ზღვასავით გადავიდა მთელს მცირე აზიაში, სპარსეთში, მისირში და სხ., მოედო ქვეყნებს და დაუწყო ბრძოლა ქრისტიანებსაც და მოგვობასაც...

Iვენი ქვეყანაც არ ასცდა მაჰმადიანობასთან ბრძოლასა.

730—740 წლებში Aბულ-ქაზიმი ანუ მურვან-ყრუ დიდის ჯარით შემოვიდა იმერეთში, დაანგრია ეკკლესიანი, დაჰსწვა და გაოხრა ქალაქ-სოფელნი, აწვალა ხალხი, ბერ-მონაზონნი, დასწვა ღვდელნი და სხ. მოკლულ და წვალებულ იქმნენ აგრეთვე ორნი ძმანი, თავადნი Aრგვეთისანი Dავითი და ქოსტანტინე. Zვამნი მათნი ჩაჰყარეს მდინარეში, მაგრამ წყალმა მოიტივტივა და ნაპირას გამოჰყარა და კეთილ-მორწმუნეთ ქრისტიანეთ იპოვნეს წმიდანი გვამნი მათნი, ჩასდეს ხის კუბოში და დასდვეს შესანიშნაეს მოწამეთის მონასტერში. Aქვე ასვენია გვამი მათი; ეხლაც დღეობაზე (2 ოკტომბერს) მრავალი მორწმუნენი მიდიან საეედრებელად მათდა, არათუ მარტო იმერეთიდამ, არამედ შორეულ ქვეყნებიდამაც. „Aქა (მოწამეთის ხევზე) არს მონასტერი უგუნბათო, შვენიერი კეთილს ადგილს; სხენან აქა ტაგრუცთა შინა მოწამენი Ჭრისტესნი Dავით და ქოსტანტინე, მდებარენი აწცა ხორცითავე, რომელნი აწამა მურვან ყრუმ.“

Bწორეთ ამ დროს სრულიად საქართველოს ანუ Iვერიის მეფედ იყვნენ მირი და Aრჩილი II. მირი მოკვდა და საქართველოს მეფედ გახდა ძმა მისი Aრჩილი. 744 წ. არაბიელნი Zუმჯუმ Aზიმის წინამძღოლობით შემოვიდნენ საქართველოში და დაიწყეს ქვეყნის გაოხრება და ქრისტიანების წვალება. Aრჩილი ხალხის სახსნელად თვითონ პირადად წავიდა Zუმჯუმ Aზიმთან და გამოუცხადა სრულიადი მორჩილობა. Aზიმი ეთანხმებოდა, რომ ხალხს არას უზამდა, მხოლოდ სთხოვდა, რომ ჩვენ მეფეს აღვიარებინა მაჰმადი. Aრჩილი უარზედ იდგა და ვერა ღონისძიებით ვერ დაითანხმეს მეფე, რის გამო იგი წვალებულ და მოკლულ იქმნა. მეფე ჩვენი ეკკლესიისაგან შერაცხილ იქმნა წმიდათა შორის; დღეობა 21 ივნისსა. Zვამი მეფისა გადმოიტანეს და დაასაფლავეს ს. Nოკორნაში. „Aმას ქვეით ერთვის Aრაგვს Nოკორნის ხევი, გამომდინარ-მომდინარი მისვე მთისა; ამის თავს არს Nოკორნა, მონასტერი გუნბათიანი, კეთილშენი, დიდი. Eსე აღაშენა მეფემან Aრჩილ და ჰყო მონასტრად; შემდგომად წამებისა მისისა ცოლმან მისმან დაფლა წმიდა გვამი მისი მუნ“ (გეოგრ. Zახუშტ. გვ, 298).

Ჭართველთა მეფეთაგან წამებული ქრისტესთვის პირველი იყო მეფე Aრჩილი II.

მოსე Zანაშვილი.

NIKOLOZ THFILELI

(გვარად Oრბელიანი)

1685—1725.

Kიკოლოზ Tფილელი დაიბადა მეჩვიდმეტე საუკუნეში. მისი დაბადების წელი და რიცხვი ჯერეთ გამოურკვეველია. Nიკოლოზ თფილელი გვარად Oრბელიანი იყო. მისი მშობლები სცხოვრებდენ ქ. Tფილისში. მშობლებმა Nიკოლოზი მისცეს საქართველოს ქათალიკოზის Nიკოლოზ მეექვსის (გვარად Aმილახვარის) სასახლეში, სადაც Nიკოლოზ თფილელს

შეუსწავლია წერა, კითხვა და სხვა-და-სხვა იმ დროის საეკლესიო საგნები. ეს ნიკოლოზ კათალიკოზი სცხოვრებდა ქალაქ თფილისში, სიონის მახლობლივ, სადაც ის დროებით განაგებდა თფილელის თანამდებობასაც; ამას ერთ ხმად ამტკიცებს ერთი ძველი გუჯარი, რომელიც ამ ბოლოს დროს იქმნა მოპოვებული. ეს გუჯარი მიცემულია თვით კათალიკოზისაგან, ამ გუჯარზე ხელს აწერს კათალიკოზი. ამ გვარი შემთხვევა საქართველოს საეკლესიო ისტორიაში იშვიათია, რომ კათალიკოზს თფილელის თანამდებობაც აღესრულებიოს. ნიკოლოზის (ამილახვრის) შემდეგ კათალიკოზობის ხარისხი იოანნე მეხუთეს მისცეს, რომელიც მანამდის ეპისკოპოზათ იყო და განაგებდა ქართლისაკენ. ამ იოანნე მეხუთეს ჩვენი ისტორია განვითარებულ კაცად რაცხს, ამიტომაც ამ გვარს მის განვითარებულ მოქმედებას დიდი გავლენა ჰქონია პატარა და ნორჩ ნიკოლოზ ორბელიანზე.

Іოანნე კათალიკოზის მღვდელ-მთავრობის დროს სამღვდელო პირთ საშუალებით სასულიერო სასწავლებელი დაუარსებიათ სიონის მახლობლად; ამ სასწავლებელში ყოფილა მიცემული ნიკოლოზ ორბელიანი, რომელსაც იქ შეუსწავლია ბერძნული ენა, მწიგნობრობა, სამღთო ისტორია, ქართული ენა, საქართველოს ისტორია, საეკლესიო ისტორია და სხვანი. იოანნე კათალიკოზის გამგეობის დროს ნიკოლოზი უკვე ცნობილ პირათ შექნილა, ასე, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში მას შესამჩნევი ადგილი დაუკავებია მაშინდელს სასულიერო პირთ შორის. კათალიკოზისაგან დაარსებულ სასწავლებლის მართვაში და გაწყობაში დიდი მონაწილეობა მიუღია აგრეთვე იმ დროის გამოჩენილს მელქისედეკ მთავარ-ეპისკოპოზს. ამას ერთ ხმათ ამტკიცებენ იმ დროის გუჯრები, რომელნიც დაცულ იქნენ პ. იოსელიანისაგან; რომლის სიკვდილის შემდეგ ეს გუჯრები სხვა პირების ხელში გადვიდა.

Кიკოლოზ ორბელიანის ბერათ აღკვეცა ასე მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულს მიეწერება; ე. ი. როცა იოანნე კათალიკოზი განაგებდა. ამ დროს ჩვენი ისტორია ნამდვილად ვერ გვიჩვენებს, მაგრამ გუჯრების ჩვენებით ეს უნდა მომხდარიყო 1692 წ., რადგან ამაზე გვიან აღარ შეიძლებოდა და ამ მოსაზრებას ამტკიცებენ რამდენიმე ისტორიული ცნობები. შემდეგ რამდენიმე ხნისა ბერათ აღკვეცისა ნიკოლოზ ორბელიანი უკურთხებიათ მღვდელ-მონაზონად, რომელი ხარისხით ის დარჩენილა ისევ კათალიკოზის სასახლეში; შემდეგ მას მცირე ხნობით უმოგზაურნია სხვა-და-სხვა მონასტრებში და რამდენიმე ხანი დავით ბარეჯის უდაბნოშიაც დარჩენილა. ბოლოს ისევ თფილისში დაბრუნებულა. აქ ის მალე უკურთხებიათ არხიმანდრიტათ. ნიკოლოზის არხიმანდრიტათ კურთხევას ბ. დ. ბაქრაძეც იხსენიებს თავის „ეკლესიების აღწერაში", მაგრამ იმას კი ნამდვილად ვერ ამბობს, თუ რომელ წელს უნდა მომხდარიყო ეს კურთხევა. ამ კურთხევას იხსენიებს პ. იოსელიანიც, მაგრამ ვერც ეს ამბობს დაბეჯითებით, თუ როდის უნდა მომხდარიყო ეს; თუმც პ. იოსელიანი ერთ თავის წერილში ამბობს, რომ ეს უნდა მომხდარიყო 1703 წელშიო, მაგრამ მეორე წერილში ესევე პატივცემული პირი ამ 1703 წელში ნიკოლოზს თფილელათაც უწოდებს. ერთი სიტყვით ამის თაობაზე ნამდვილი ცნობები არ არის; „ქართლის ცხოვრებაშიაც" არის ამის თაობაზე ზოგიერთი ცნობები, მაგრამ ამ ცნობებიდგან კაცი ვერას გაიგებს, რადგან „ქართლის ცხოვრებაში" ნიკოლოზი მხოლოდ თფილელობის ხარისხით არის მოხსენებული.

Кიკოლოზ ორბელიანისთვის, შემდეგ მისი არხიმანდრიტათ კურთხევისა, მიუცია წინამძღვრობა ერთ „მრავალ მთის" მონასტერში, რომელიც დავით ბარეჯის მონასტრის სიახლოვეს ყოფილა. ამ „მრავალ-მთის" მონასტერში ნიკოლოზი დარჩენილა კარგა ხანს. რომ ამ მონასტერში ნიკოლოზი წინამძღვარად იყო, ამას ამტკიცებენ: მ. დ. ბაქრაძე, პ. იოსელიანი და ამ მონასტრის სიგელ-გუჯრებიცა. როგორც ზემოთა ვსთქვით, ნიკოლოზ არხიმანდრიტი კაი ხანს დარჩენილა „მრავალ-მთის მონასტერში და ამის გამო მისთვის უწოდებიათ „ნიკოლოზ მრავალ-მთიელი" ანუ შემდეგ მიტროპოლიტობაშიაც კი „ბროველი". ნიკოლოზ არხიმანდრიტს ბევრი უშრომია მონასტრის გამშვენიერებაზე; ამ ნიკოლოზის მეოხებით მონასტერს დიდ-ძალი მამულები შეუძენია და ზოგიერთ თავადებს გლეხებიც შეუწირავთს მონასტრისთვის.

Ზოგიერთი წერილებიდამ და გუჯრებიდამ ცხადათ სჩანს, რომ ნიკოლოზ გროველსა და მის თანა მედროვე თფილელ მიტროპოლიტს დიმენტეს დიდი კავშირი ჰქონებიათ ერთ-მანეთში. იოსელიანი ერთ თავის „ისტორიულს სტატიაში" სწერს, რომ ნიკოლოზ გროველი პირველ ხანს დავით ბარეჯის მონასტერში წინამძღვარათ იქმნა აჰყვანილიო, რომელსაც ზოგიერთი გუჯრებიც ამტკიცებენო. „მრავალი მთის" მონასტრიდამ ნიკოლოზი გადმოუყვანიათ თფილისში და უკურთხებიათ ეპისკოპოზათ. მისი

ეპისკოპოზათ კურთხევის წელი გარკვევით არ არის მოხსენებული; მაგრამ, იმედია, მერე შეიტყობა ქართული გუჯრების მეოხებით. მპისკოპოზობის დროს ნიკოლოზს დიდი კავშირი ჰქონებია ვახთანგ მეექვსესთან, როგორათაც წიგნების ბეჭდვაში, აგრეთვე სტამბის საქმის გაუმჯობესობაში; გარდა ამისა ნიკოლოზს დიდი მონაწილეობა მიუღია ვახთანგისაგან ქართული კანონების შედგენაში. ამ კანონების შედგენის დროს ნიკოლოზ გროველს ზოგიერთი ისეთი ცნობები წარუდგენია ვახთანგისათვის და ისეთი ჰაზრები წარმოუთქვამს, რომ ვახთანგის „სამართლის წიგნის“ ზოგიერთი რთული მუხლები გაუუქმებიათ და მისი განხილვა თვით მოსამართლეთა სვინიდისზე დაუმყარებიათ, რომ თვითონ მოსამართლენი განარჩევდნენ საქმეს თავიანთი პატიოსნების და სინდისის ქვეშეო. ზარდა ამისა სჩანს კიდევ, რომ ნიკოლოზ ზროველს სტამბის საქმეების მოწყობის გარდა, წიგნების შესწორებაშიაც მიუღია მონაწილეობა. რადგან ნიკოლოზი ასეთი მოღვაწე პირი იყო და ვახთანგ მეექვსესთანაც ძალიან დაახლოვებული, ამიტომ ის აუყვანიათ თფილელის კათედრაზე და დომენტი კათალიკოზის ხელ დასხმით უკურთხებიათ მიტრაპოლიტათ.

ჰიტრაპოლიტობის დროს მისთვის ბოლნელობაც მიუნდვიათ, მაგრამ წოდებით კი არც ერთს ამას არ უწოდებდნენ, არამედ ისევ „ნიკოლოზ გროველს“ უწოდებდნენ. ის, თუ რომელ წელში იქმნა ის მიტრაპოლიტად ხელდასხმული, ჯერეთ არ არის გამორკვეული. ბევრ გუჯრებზე აწერია ხელი: „ნიკოლოზ თფილელიო“, მაგრამ გარკვევით კი არაფერია ნათქვამი. დომენტი კათალიკოზის გამგეობის დროს დიდი ღირსების კაცი ყოფილა ეს ნიკოლოზ გროველი. ამათის გვარიდამ იმ დროს ერთი კიდევ სხვა ყოფილა ეპისკოპოზად და შემდეგ მიტრაპოლიტათაც ყოფილა აყვანილ, რომელსაც სახელად დომენტი წოდებია. ამ სახელითვე სცხოვრებდა კათალიკოზი დომენტი მესამე. ორავ-და-პირველად დომენტი მესამესა და ნიკოლოზ თფილელს შორის დიდი კავშირი არსებობდა, მაგრამ შემდეგ კი უკმაყოფილება ჩამოვარდნილა მათში. ეს უკმაყოფილება გამოუწვევია შემდეგ შემთხვევას: როცა ვახთანგ მეექვსე სპარსეთში მიუხმიათ, ქართლის ტახტს განაგებდა ვახთანგის ძმა. სპარსეთში ვახთანგს ურჩევდნენ და ძალასაც აყენებდნენ, რომ მას თათრის სარწმუნოება მიეღო, მაგრამ ვახთანგი უარზე იდგა; ბოლოს მაინც მიიღო თათრის სარწმუნოება, მაგრამ სპარსეთში მყოფ ლათინთა პატრებს ვახთანგი ეუბნებოდა: „მე ჩუმი ქრისტიანე ვარ, მართალია, თათრის სარწმუნოება მივიღე, მაგრამ ეს მოსატყუებლად ვქენი“. ამას მოგვითხრობენ იმ დროის მოგზაურნი ლათინთა პატრები.

ხხვა-და-სხვა გარემოებათა გამო ნიკოლოზ თფილელსა და დომენტის შუა ყოველივე კავშირი ჩაშლილა და ნიკოლოზი გაშორებია მასს. თავის სიკვდილამდის ნიკოლოზი დარჩენილა თფილისში. მისი გარდაცვალების დროს ერთობ არეულ-დარეულია; განსვენებული პ. იოსელიანი „საქართველოს საეკლესიო აღწერაში“ მოგვითხრობს, რომ ნიკოლოზ გროველი 1742 წელში სცხოვრებდაო; ანტონ ქათალიკოზის „წყობილ სიტყვაობაში“ არის ნათქვამი, რომ ნიკოლოზ გროველი 1725 წელში გარდაიცვალაო. ამ ორში ვის უნდა ვერწმუნოთ არ ვიცით. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ თფილელ ბოდონელ მიტრაპოლიტის დომენტი ორბელიანის ცხოვრების წელნი, დომენტი კათალიკოზისა და ამ ნიკოლოზ გროველ ორბელიანისა ერთობ არეულ-დარეულია, ასე, რომ ზოგ ალაგას დომენტი მიტრაპოლიტ ორბელიან შენიშვნა დომენტი კათალიკოზის ჰგონიათ; ზოგ ალაგას მოხსენებულია: „მიტრაპოლიტი ორბელიანიო“. რომელი ერთი უნდა ვიგულისხმოთ ამათში, კაცმა არ იცის, რადგანაც ერთსა და იმავე დროს რამდენიმე პირნი ერთ-თანა მეგვარენი და თანა მესახელენი სცხოვრებდნენ. ნიკოლოზ გროველს თავის თანამდებობისა გარეშე ქართულს მწერლობაშიაც ჰქონია მონაწილეობა მიღებული; მასს ანტონ კათალიკოზი თავის „წყობილ სიტყვაობაში“ იამბიკოებს უძღვნის.

ჰოგორც მოგვითხრობენ, ამ ნიკოლოზ გროველს, სხვათა შორის, გარდაუწერია ბევრი წიგნები, რომელთაც ჩვენამდისაც მოუხწევიათ.

ჩრთი ისტორიული გუჯრიდამ სჩანს, რომ ნიკოლოზ გროველი ერთ დროს საქართველოს კათალიკოზის მოადგილეთაც ყოფილა, მაგრამ მცირე ხანს. ზარდაცვალებას ბ. დ. ბაქრაძე გარკვევით ვერ საზღვრავს; იოსელიანს კი სხვა-და-სხვა დრო აქვს ნაჩვენები. ის ხან 1725 წელს აწერს ნიკოლოზ გროველის გარდაცვალებას, ხან—1721 წელს; მაგრამ, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ და ზოგიერთი გუჯრებიც გვარწმუნებენ, ნიკოლოზ გროველის გარდაცვალება 1722 წელში უნდა მამხდარიყო. და თუ ეს წელი არ იქმნება, მაშინ მის გარდაცვალების წლად უნდა მივიღოთ 1727 წელი და არა ამის შემდეგი. ამ რიცხვს იოსელიანიც განმარტავს „წყობილ სიტყვაობის“ სხოლიოში.

Ოვამი ნიკოლოზის დაუსაფლავებიათ სიონის ეკკლესიაში, რომლის ტაგრუცი უჩინარი არს. ამაებს გარდა, როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, არა სჩანს, თუ რომელ წელში დაიბადა ნიკოლოზ ოლრბელიანი და ანუ რამდენის წლისა იყო, როცა გარდაიცვალა.

სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინეთ გამოცხადებული, რომ ნებოძირის სოფლის ეკკლესია (შორაპნის მაზრაშია) გაქურდეს ავაზაკებმა. შემდეგ ერთ ღელეში ნახეს ყველა ეკკლესიიდგან გატანილი ნივთები. აღარ წაეღოთ ავაზაკებს ნივთები, რადგან ისინი ვერცხლის არ გამომდგარიყვნენ. ეხლა შევიტყვეთ ჩვენ, რომ ამ ეკკლესიის გაქურდვის თაობაზე არაფერი საქმის წარმოება არ ყოფილა არც პოლიციისაგან და არც გამომძიებლისაგან. სწორეთ ამისთანა ადგილობითი პოლიციის დაუდევნელობა არის მიზეზი, რომ ჩვენში ეკკლესიების გაქურდვა გახშირდა.

***

1869 წელში რუსეთში შეამოკლეს სამრევლო შტატების რიცხვი; ერთ სამრევლოთ გახადეს ორი და ზოგან სამი მრევლი, რომლისა გამო მრავალი მღვდლები შტატ გარეთ დარჩნენ. ამასთან მოსპეს მთავარ-დიაკვნის ადგილები სოფლების სამრევლოში. ამ ცვლილებამ დიდი ზარალი მოიტანა ხალხისათვის სარწმუნოებრივი და ზნეობრივი მხრით. ეხლა, როგორც რუსული გაზეთები გვატყობინებენ, ყველა ის სამრევლოები, რომელნიც წინეთ დაიხურნენ, უნდა გახსნან და საკუთარი კრებულები დაენიშნოსთ ძველებურათ. ამასთან მთავარ-დიაკვნებსაც მიეცემათ სოფლებში ძველებურათ თავისი ადგილები.

***

ჩოგორც წინეთ ვაცნობეთ მკითხველებს, წარსულს წელში გასყიდულა სანთლის დუქნიდამ ას სამოცდა რვა ფუთი წმინდა სანთელი. მთელ იმერეთის ეპარხიაში ერთი ორად მეტი უნდა იყიდებოდეს სანთელი, მაგრამ ამ საქმეს ბევრი რამ აბრკოლებს. ამ წელში კიდევ მიეწერა ბლაღოჩინებს, რომ სანთლის წარმოების საქმეს მათ ყურადღება მიაქციონ. საყოველთაო საცნობად განცხადებაც დაიბეჭდა და დარიგდა ყველგან. ამასთან ბლაღოჩინებმა თავის საბლაღოჩინო ეკკლესიებისათვის თვითონ წაიღეს ერთბაშად სანთელი, უმეტესი ვინემ წინეთ მიჰქონდათ სტაროსტებს. ყველა ამ ზომებმა, რასაკვირველია, სანთლის შემოსავალს ერთი ათასი მანეთი მაინც უნდა მოუმატოს...

***

ჩუმცა ძველ დროში ხსენება არ ყოფილა იუბილეის დღესასწაულობისა, მაგრამ ეხლანდელ დროში ძლიერ გახშირდა ამისთანა დღესასწაულობა სხვა-და-სხვა წოდებაში. იუბილეის დღესასწაულობისა გამო 1876 წელში მინისტრთა კომიტეტმა უმაღლესი ბრძანებისამებრ წარუდგინა ხელმწიფე იმპერატორს თავისი მოსაზრება იუბილეის დღესასწაულობის შესახებ სახორციელო უწყებაში, რომელიც უმაღლესად უკვე დამტკიცდა. ორწმიდესმა და ორმართებელესმა ხინოდმა ეს დადგენილობა სახელმძღვანელოდ მიიღო სასულიერო უწყებაშიაც და გამოაცხადა „საეკკლესიო მახარებელში". საჭიროთ დავინახეთ მისი გადათარგმნა და დაბეჭდვა ჩვენ გამოცემაში და ამისათვის ებეჭდავთ მას.

***

ორტეგის ბლაღოჩინი მღვდელი ლეონ ფილიევი ჩვენ გვთხოვს შემდეგი წერილის დაბეჭდვას.

„ჩემ ბოლოს დროს შემთხვევით შემხვდა წაკითხვა გაზეთ „დროებაში" შემდეგი შენიშვნისა, რომელიც მე შემეხება: „ოსეთის სოფლის ო. მცხოვრებელმა დ. ბ—ძა დაიწერა ჯვარი თავის უმეფრესი ძმის ტოლზე. თუ უკეტრავთ არ ვიქნებით, ვკითხავთ ადგილობით ბლაღოჩინს, თუ რა გარემოებით მოხდა ეს შემაძრეწუნებელი ქორწილი."

„ჩარწმუნებთ „დროების მკითხველებს, რომ ამისთანა ჯვარის წერა არსად არ მომხდარა. ეს ალბად „დროების" კორესპონდენტს მოეჩვენა. ვთხოვთ „დროების" რედაქციას გადაბეჭდოს ეს მცირე წერილი თავის გაზეთში და ამით გამოიყვანოს თავის მკითხველები შეცდომისაგან".

***

ზოგიერთები, რომელთაც გაზეთ „შრომაზე" ხელი ჭქონდათ მოწერილი, განსაკუთრებით მღვდლები, ვთხოვენ ჩვენ ჩვენის გამოცემის სასუალებით შეატყობინონ „შრომის" რედაქციას, რომ მას თუ გაზეთის გამოცემა არა სურს, გაზეთისათვის შეტანილი ფულები დაებრუნოსთ.

„ურომის" რედაქტორს დღეს თითქოის ყველაფერი ხელს უწყობს განაგრძოს გაზეთის გამოცემა, მაგრამ ჩვენ ძლიერ გვიკვირს, რომ ერთი ნომერი მაინც არ გამოსცა, რომ გაზეთის გამოცემის უფლება არ დაჭკარგოდა. ამ წლის ოცდა ათი ივნისია უკანასკნელი დღე ამ უფლების დაკარგვისა, მაგრამ არც ერთი ნომერი არა სჩანს ჯერეთ...

***

ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელში წელს შეასრულეს სწავლა 66 მოწაფემ. ესენი ყველა ქართველებია. ამ 66 მოწაფეში 48 სასულიერო წოდებისა ⁄ 18 გლეხთაგანი. ამ 66 მოწაფეში პედაგოგიურმა რჩევამ მარტო 17 მოწაფე დაინახა ღირსად სემინარიის პირველ კლასში გადასვლისა. სამწუხაროდ, ბევრი ნიჭიერი უმაწვილები არ აცხადებენ სურვილს სემინარიაში სწავლის გაგრძობისას სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო.

***

ჩვენ შევიტყეთ, რომ ბათუმში მართლ-მადიდებელი ეკლესიის ასაშენებლად ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ბ. ხმეკალოვის მეცადინეობით 70,000 მანეთამდე შეკრებილა.

ჟურნალ-გაზეთთა მიმოხილვა.

ერთ რუსულ გაზეთს „სარატოვსკი ლისტოკ“-ში ვკითხულობთ შემდეგ ამბავს: „ერთ სოფელს უსოვკაში გამოჩნდა ერთი ახალი სჯულის მასწავლებელი გლეხთაგანი. ამ გლეხმა უარ ჰყო ყველა სამღვთო წერილის წიგნები და სხვა-და-სხვა წესდებათა აღსრულების საჭიროება. სულის ცხოვნებისათვის, იმის აზრით, მარტო ლოცვაა საჭირო. ის უწოდებს თავის თავს შუამდგომლად ღვთის წინაშე და მისი სწავლის მორწმუნეთა შორის. ის კვირა უქმე დღეებში წაიყვანს ხოლმე თავის მოწაფეებს, რომელნიც არიან ოცდა ათამდის, რომელიმე ტყეში, თვითონ შევა ძლიერ მაღალ მუხის ხეზე, აიშვერს ხელებს ცისკენ და, რაც ძალი და ღონე აქვს, დაიყვირებს: „Oფალო შეგვიწყალე. Oფალო აცხოვნე ჩემი ცხოვარნი, რომელთაც გირწმუნეს შენ. ამ კაცის მოწაფენი ძირ ხის ქვეშ დაჩოქილნი დგანან, მიჩერებიან თავის მოძღვარს და უძახიან: „მოძღვარო გვაცხონე ჩვენ.“ ეს მოძღვარი არწმუნებს მის მოწაფეთა, რომ მას თვითონ ღმერთი ჩააგონებს ყველაფერს, რაც საჭიროა მათთვის. ვალდებულად ჰყოფს თავის მოწაფეებს, რომ მათ კარგად არჩინონ იგი და ფულებიც აძლიონ მას“.

„Kიევის ეპარხიულ უწყებაში“ ვკითხულობთ შემდეგ ამბავს: „ეპარხის სამღვდელო ყრილობაზე, რომელიც მოხდა იანვრის თვეში, დეპუტატებმა გარდასწყვიტეს შეკრება ერთ დროებითად ორ-ორი მანეთისა ყოველ ეკლესიიდამ მთელ ეპარხიაში, რომ მათ ამ ფულებით შეეძლოსთ სემინარიის პირველი კლასის პარალელური განყოფილების გახსნა და დაარსება Kიევის სასულიერო სემინარიასთან ერთი კლასისა, რომელშიაც სემინარიელებს ასწავლონ საეკონომო საგნები. ეს განჩინება მისმა მაღალ Oვლად Uსამღვდელოესობამ Kიევის მიტროპოლიტმა დაამტკიცა“.

Eმ ცნობის შესახებ ერთ რუსულ გაზეთში „Церковно-Общественный Вѣстникъ“ ჩვენ ვკითხულობთ შემდეგს: „ჩვენი გაზეთი ყოველთვის მომხრე იყო სემინარიაში საეკონომო საგნების სწავლებისა. ამისათვის სიამოვნებით მივეგებებით ამისთანა კეთილ და საქებ სამღვდელოების განჩინებას და ვისურვებთ, რომ ამისთანა განჩინებას დაბრკოლება არაფერი შეხვედროდეს და სხვებსაც წაებაძოთ ამისთანა განჩინებისათვის.“

„გვირგვინი.“

(დასასრული)

Eმ საიქიო მცხოვრებთ ჩვენ ცხოვრებაზე ზედგავლენის შეძლებაზე არის დამყარებული მათი სურათთ, ხატთ თაყვანისცემა, ხატთ უზიარდებათ მადლი თვით გამოხატულებისა და ესრეთ ისინი შეიქმნებიან მადლ-მოსილნი, აქედამ წამომდინარებს ის, რომ ხატებში ჟამითი-ჟამად გამოჰკრთება მოქმედება, რომელიც შეჰშვენით ცოცხალთ (თხ. ლვ.).

Bააქო ცხოვრებას აკავშირებენ ჩვენ ამ ქვეყნად ცხოვრებასთან არა მხოლოდ ამ სოფლით გასულნი, არამედ მთლად მუნ მცხოვრებნი უხორცონი ძალნიც, რომელნიც ხილულად და უხილავად მოქმედებენ ჩვენ ცხოვრებაში. ქეთილნი მათგანნი გვიჩვენებენ კეთილ გზას და სცდილობენ აგვაცილონ ბოროტი; ისინი გვაბრთხილებენ. მათ შორის უფრო დაახლოებული მზრუნველი არის ანგელოსი მცველი, რომელიც მინიჭებული ჰყავს თვითოეულს და რომელიც ახელმძღვანელებს მისადმი ჩაბარებულს ყოველსავე ნაბიჯში ცხოვრებისა. ბოროტნი მათგანნი სცდილობენ წინააღმდეგს: ეს კეთილის მოძულენი შეგვამთხვევენ ყოველსავე სიბოროტეს, სცდილობენ გაგვხადონ მონად უსჯულოებისა. Oველივე ჩვენგან მონაქმედი ცოდვა არის “საცთური საეშმაკო“, “გვარძნილებაჲ ეშმაკისა,“, მისი “მანქანება“,— სახსარი, რომლითაც ის სცდილობს მოგვაშოროს კეთილნი ანგელოსნი და დაგვიმონოს. Oუ ეუსმენთ ანგელოსის შთაგონებას,

ეშმაკი შორს არიან ჩვენგან, წინააღმდეგ შემთხვევაში ეშმაკნი გვეპატრონებიან ჩვენ. (თხრ. ა, იზ, მ, უბ, უბ.).

ნაშინელი სატანჯველი და გამოუთქმელი ნეტარება, რომელნიც მიეზღვიან კაცს ქვეყნიურ ცხოვრებისათვის, ზეციურ ცხოვრებაში, აიძულებენ კაცს აღასრულოს სჯულის მოთხოვნილება: უარ ჰყოს დაბალ ენებათა მბადი თვისი ხორციელი ბუნება და მთლად მიეცეს სულის უმანკო მოთხოვნილებათა; შესწიროს ხორციელი, ქვეყნიური ლტოლვილებანი მსხვერპლად ზენარე, იდეალურ მოთხოვნილებათ. ამ მიზნისადმი მიხწევას წინაღუდგება ერთი საზოგადო ხასიათის მქონი კაცის ბუნებაში შთანერგილი ლტოლვილება: ლტოლვილება შესწიროს თვის სიამოვნებას მსხვერპლად ყოველივე, ლტოლვილება, რომელიც ადვილათ დაერთვის ყოველსავე კაცის ბუნების კანონიერ მოთხოვნილებას, გარდააცილებს მას მისდა აღნიშნულ ზომას და გარდააქცევს მავნე ნებად. ხარისხი ხსენებულ საზოგადო ნდომის შეზღუდვისა არის მაჩვენებელი ზნეობითი სიმაღლისა, მისი ამოფხვრა—იდეალი ზნეობითი სისრულისა.

ერთვის რა და დაერევა ხსენებული საზოგადო ლტოლვილება თავის საზრდოობის სურვილს და ამისთვის ქონების მოპოებას, ამ ბუნებითი კანონიერ მოთხოვნილებას გარდააქცევს უკანონო და კაცის ღირსების დამამცირებელ ენებად — სიძუნწედ. რომ ამ კანონიერის მოთხოვნილების დაკმაყოფილების სურვილმა არ მიაღწიოს ამისთანა უკიდურობამდინ უნდა ა) გაიცეს დანაჭარბი ცხოვრებისათვის საკმარისისა უქონლებზე; ბ) უნდა გაიცეს არამც თუ დანაჭარბი, არამედ უსაჭიროესის გარდა ყოველივე; გ)—და თვით უსაჭიროესიც, თუ ეს გამოიხსნის მოყვასს რაჲმე უბედურებიდან (თხრ. მგ, მბ, მვ, ლდ, ნბ, ლგ, კ, ჲ, ნ, რ, მთ, ნუ). ამ გვარად აღსრულდება მცნება ოფლისა მოწყალების შესახებ. ეს კეთილი საქმე ბევრჯერ თვით ამ ცხოვრებაშივე ჯილდოვდება და ყოველთვის ზეცას, რადგან ამ ქველმოქმედებას ესო მიითვლის ისე, ვითომ პირად იგი განუკითხავთ, რის გამოც მოწყალე იმყოფება მის მფარველობის ქვეშ (თხრ. კთ, მა, ნბ, ნუ).

ზემო აღნიშნული საზოგადო ლტოლვილება აღაგზნებს კაცის გულში ნდომას დაამხოს რითაც შეიძლება თვისი მოყვასი, რომ მით ეწიოს რაჲმე თვის გულის წადილს. თუ, მაგალითებრ, მოყვასის კეთილ-დღეობა დამყარებულია სხვაზე, სხვის მისადმი მფარველობაზე, მაშინ ამ ვნების ზედგავლენის ქვეშ მოქმედი სცდილობს შესმენით ან სხვა რაჲმე სახსრით დაამციროს კეთილის მყოფელის თვალში კეთილ-მყოფელი, ხელქვეითი მის მეუფროსის თვალში და სხ.,—ქცევა ღირსი დასჯისა. მაგრამ რადგან დასჯა შემასმენელისა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა დარწმუნებული ვართ მის ცრუობაზე და რადგან სიმართლე შესმენილისა მხოლოდ მაშინ ცხადდება სასწაულით, როდესაც შესმენილი არის სასწაულის ღირსი კეთილი ვინმე, ამისთვის სიფთხილით უნდა ვექცეოდეთ შესმენას. ყველაზე უმჯობესი კი ის არის, რომ სრულებით არ შეიწყნარებოდეს არაეითარი შესმენა (თხრ. დ, ე, ი, იგ, იდ, იზ, მგ, მვ).

ესეთნი არიან სხვათა შორის მადლნი და ცოდვანი. თუმცა მათი განრჩევა კაცს ესმის, რადგან ეს არის საიდუმლო, კალმით ჩაწერილი მის გულში და აგრეთვე განრკვეული ივთიურ განცხადებაში, თუმცა მან კარგად იცის მათი შედეგი საუკუნო ცხოვრებისათვის, მაგრამ ის მაინც ვერ განერის სრულებით ცოდვას, რომლისადმიც მიიზიდებს მას მის ბუნებაში შთაფლული ცოდვათა თესლი: თუ არ იყოს სახსარი მისგან მონაქმედ ცოდვების აღხოცისა, მაშინ ის უსათუოდ იქმნებოდა წაწყმედილ. ბულითადი სინანული არის ეს სახსარი ცოდვათა წერილიდამ აღმოფხვრისა, აღმორეცხისა. რასაკვირველია, სინანული, რომ მას ჰქონდეს ესეთი ძალა, უნდა იყოს შედეგი წმიდა გულის თქმისა, ნამდვილის გრძნობისა; თუმცა კი შეიძლება დაკმაყოფილდეს იმითიც, თუ კაცი ძალით მოიქმედებს იმას, რასაც მოაქმედებდა მას ნამდვილი გრძნობა. ამ გვარ სინანულმა უნდა მიახწიოს იქამდინ, რომ კაცი არამცთუ სტანჯდეს თვის ნებით თავის თავს, არამედ არ ჰრიდებდეს თვით სიკვდილს ქრისტესათვის და თვითონ ეძიებდეს მას (თხ. ბ, ვ, ზ, ოა, ოვ, ოდ, ოზ, ჲ, ჲდ, პ, პდ, უ).

ამ გვარად ზრუნვა სულზე მოითხოვს არამცთუ მხოლოდ შეზღუდვას, შეიწროებას ყოველ ბოროტულ ლტოლვილებათა, არამედ, რამდენათაც შეიძლება, აღმოფხვრას თვით მათ შეძლებისასაც, რაც კაცს აუცილებლად მიიყვანს სოფლისა და მის ღელვათა უარ ყოფამდინ. ბვირგვინსაც ეს სოფლის უარ ყოფა ანგელოსებრივი სახითა, აკვეცა (ბერობა) მიაჩნია ზნეობითი იდეალად.

ვ. ბარნოვი.

განცხადებანი.

ისყიდება, პირველად შედგენილი ქართულს ენაზედ სახალხო სამკურნალო წიგნი, **კარაბადინი** შედგენილი მ. დ. ღამბაშიძის-მიერ.

ეს **კარაბადინი** განიყოფება ოთხ ნაწილად: პირველ ნაწილში არის მოყვანილი სწავლა კაცის ტანის აგებულებაზედ და ცხოვრებაზედ. მეორე ნაწილში არის მოყვანილი გიგიენური დარიგება და სწავლა ჯან-მრთელობის დაცვაზედ. მესამე ნაწილში არიან აღწერილნი სხვა-და-სხვა შინაგანი და გარეგანი სნეულებანი და მათი წამლობა. მეოთხე ნაწილში არიან აღწერილნი წამლები, მათი მომზადება, მოქმედება და ხმარება. ბოლოს, დამატებაში არის მოყვანილი მოწამვლისაგან ავათ გამხდარი კაცის ნიშნები და სხვა-და-სხვა საშუალებები ავათმყოფის მოსარჩენად.

ეს წიგნი ყველასათვის საჭირო და სასარგებლოა. ბევრს შეუძლია სხვა გაჭირვებულ ავათ მყოფებსაც საშუალება აღმოუჩინონ. ამისთანა პირებში პირველი ადგილი უკავიათ სოფლის პრიხოდის მღვდლებს, რომელნიც ყველაზედ ნამეტნავად არიან დაახლოებულნი სოფლის ხალხთან.

წიგნის ფასი ყველგან გაგზავნით ყდიანი ღირს **მანეთად**.

ამ წიგნის ყიდვა შეიძლება:

ქ. თფილისში, ბრიქუროვის და შავერდოვის წიგნების მაღაზიებში. **ბოლრში**, ბორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ პ. ბურჯანაძესთან. **სურამში**, დიაკონ თადეოზ შველიძესთან. **ქუთაისში** მურადოვის და ჭილაძის მაღაზიებში. **დაბა საჩხერეში**, მასწავლებელ ყარამან ჩხეიძესთან. **დაბა ზუგდიდში**, ბლაღოჩინ დეკანოზ მეუნარგიასთან. **დაბა ოკრპირში**, სოფლის სკოლის მასწავლებელ იასონ, კაპანაძესთან. **დაბა ლაილაშში**, ბლაღოჩინ ილარიონ ბერსამიასთან.

შეიძლება ამ წიგნის დაბარება „**მწყემსის**" რედაქციიდამაც.

ყველა ზემო-ხსენებულ ადგილებში შეუძლიათ ყიდვა მსურველთა; **მღვდლებთათვის სახელმძღვანელო წიგნისა**, რომელსა შინა არის სხვათა შორის დარიგება საეკლესიო საბუთების შედგენაზე. ეს უკანასკნელი წიგნი იყიდება თითო **ოთ აბაზად**.

იბეჭდება და ცოტა ხანში გამოვა

ლოცვანი

მეორე გამოცემით და დამატებით.

შედგენილი მღ. დ. ღამბაშიძის მიერ.

გიღებ

როგორც ქალაქებიდამ, ისე სოფლებიდამ ეკლესიის **კანკელებს** და **კიოტებს** გასაკეთებლად. ყოველ საქმეს შევასრულებ რიგიანათ და პირიანათ.

ჩემი ქარხანა იმყოფება ქ. თფილისში, საპერნის ქუჩაზედ, ალექსანდროვის სახლ., № 8.

კანკელისა ⁄ მებელის ოსტატი

დავით გიგაური.

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

საქართველოს

მოკლე ისტორია

მოსე ჯანაშვილისა.

ფასი 60 კოპ.

ვინც პირ-და-პირ გამომცემლისგან (**Тифлисъ Михайлов. ул., № 42 Георгію Давидовичу Картвелову**) დაიბარებს არა ნაკლებ **20** ეკზ., იმას წიგნი დაეთმობა **50** კაპეიკად.

ამ წიგნის დაბარება შეიძლება „**მწყემსის**" რედაქციიდამაც.

მოკლე დროში წიგნი გაიგზავნება საქათველოს უმთავრეს ქალაქებში.

Дозв. цензурою Кутаисъ, 30 Іюня 1884 г.

რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ.

მსწრაფლბეჭდავი ზედგინიძისა ⁄ ფერაძისა.